

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო  
ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის (შემდგომში „გამგებელი“) სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) შექმნის, საქმიანობის, რეკომენდაციათა შემუშავების და საბჭოს გამგებელთან ურთიერთობის წესსა და პირობებს.

2. საბჭო წარმოადგენს გამგებლის სათათბირო ორგანოს.

3. საბჭო იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის, სამოქალაქო ინიციატივების, რეკომენდაციების, მოსაზრებების, რჩევების შემუშავებისა და წარდგენის პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

4. საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-თ და წინამდებარე დებულებით.

**მუხლი 2. საბჭოს შემადგენლობა და მისი ფორმირების წესი**

1. საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს გამგებელი.

2. საბჭო შედგება არანაკლებ 10 წევრისაგან, სადაც ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

3. საბჭოს შემადგენლობაში შედიან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, მეწარმე იურიდიული პირებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**მუხლი 3. საბჭოს სტრუქტურა, ხელმძღვანელობა, მუშაობისა და  
გადაწყვეტილებების მიღების წესი**

1. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი. საბჭოს თავმჯდომარეს და მოადგილეს ნიშნავს გამგებელი, ხოლო მდივნის ფუნქციას საბჭოს ერთ-ერთ წევრს აკისრებს საბჭო.

2. საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას, უძღვება საბჭოს სხდომებს, უზრუნველყოფს საბჭოს მიზნების, ამოცანების და უფლებავალდებულებების შესრულებას. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მოადგილე.

3. საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს სხდომის ოქმების შედგენას და აღრიცხვას. მდივანი ორგანიზებას უწევს საბჭოს სხდომებს და სხვა საქმიანობას.

4. საბჭო უფლებამოსილია კონკრეტული საკითხის განხილვისას, წინადადების/რეკომენდაციის შემუშავებისას მოიწვიოს სხვადასხვა სფეროს ექსპერტები და სპეციალისტები. ექსპერტები და სპეციალისტები მონაწილეობენ საბჭოს მუშაობაში და რჩევებს/მოსაზრებებს/დასკვნებს და რეკომენდაციებს აწვდიან საბჭოს. საბჭოს მიერ ექსპერტის ან სპეციალისტის მოწვევა შესაძლებელია განხორციელდეს ასევე კონკრეტული მიმართულებით კონსულტაციის მიღების მიზნით.

5. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომაზე. საბჭო იკრიბება საჭიროებიდან გამომდინარე ნებისმიერ დროს, მაგრამ არანაკლებ 3 თვეში ერთხელ. საბჭოს სხდომის მოწვევა ხდება საბჭოს თავმჯდომარის მიერ საბჭოს წევრების შესაბამისი ინფორმირების მეშვეობით.

6. საბჭოს მდივანი თავმჯდომარის დავალებით ადგენს დღის წესრიგს და მას წინასწარ აწვდის საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საბჭოს სხდომის გამართვის ადგილის, თარიღის, დროის და დღის წესრიგის თაობაზე.

7. საბჭო გადაწყვეტილებათა უნარიანია, თუ სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც. საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. საბჭოს წევრების ხმათა თანასწორობის შემთხვევაში გადაწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

8. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

#### **მუხლი 4. საბჭოსა და გამგებლის ურთიერთობები**

1. გამგებელი ვალდებულია საბჭოს განსახილველად წარუდგინოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები.

2. საბჭო საკითხის სხდომაზე განხილვის შემდგომ შესაბამის რეკომენდაციას/წინადადებას წერილობით წარუდგენს გამგებელს. საბჭო უფლებამოსილია გამგებელს წარუდგინოს თავისი რეკომენდაცია/წინადადება/მოსაზრება/შენიშვნა:

ა) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც განსახილველად გადაეცა საბჭოს;

ბ) საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შედის ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში და რომლის განხილვაც მიზანშეწონილად ჩათვალია საბჭომ.

3. გამგებელი უფლებამოსილია არ გაიზიაროს საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაცია/წინადადება/მოსაზრება/შენიშვნა.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საკითხების საბჭოს მიერ არ განხილვა გამგებლისათვის არ წარმოადგენს დაბრკოლებას მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით შემდგომი გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

5. გამგებლის მიერ საბჭოსათვის სამუშაო მასალების (კორესპონდენციების, პროექტების) გადაცემა და მეორეს მხრივ საბჭოდან გამგებელზე შესაბამისი წინადადებების (რეკომენდაციების) გადაცემა ხორციელდება უშუალოდ, კანცელარიაში მოძრაობის გარეშე.

#### **მუხლი 5. საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა**

1. კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში გამგებელი ხელს უწყობს საბჭოს სამოქალაქო ინიციატივების, პროექტების და სხვა აქტივობების რეალიზებაში.

2. საბჭოს კონკრეტული საქმიანობა და ინიციატივები ასევე შესაძლებელია დაფინანსებულ იქნეს კერძო პირების მიერ.